APM TERMINALS
Lifting Global Trade

N150
24 აგვისტო, 2021წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმდინარე საქმიანობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად ნაყარი ტვირთების ოპერირებას ახორციელებს 7 ნავმისადგომზე, მათ შორის: მე-3, მე-4, მე 5, მე 8 და მე 9 ნავმისადგომზე ტვირთების ოპერირება წარმოებს გრეიფერის გამოყენებით, ხოლო მე-7 მბრუნავი სპრედერის გამოყენებით. დაგეგმილი გვაქვს ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, რომლის მიხედვით ნაყარი ტვირთების ოპერირება მოხდება დამატებით 4 (მე-7, მე-12, მე-14 და მე-15) ნავმისადგომზე. აღნიშნულ ნავმისადგომებზე გათვალისწინებულია სპილენძის კონცენტრატის, კარბამიდის და ხოიოს და მზესუმზირას შროტის ოპერირება.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე 5 მუხლის, მე-12 პუნქტის შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარე სკრინინგის პროცედურას. შესაბამისად წარმოგიდგენთ ფოთის საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განაცხადს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

1. ფოთის საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
2. სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია და ნავსადგურის განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1 CD.

პატივისცემით,

კელდ მოსგაარდ ქრისტენსენი

სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური"
გენერალური დირექტორი

№ 15681
01 09 2021
1/CD

APM Terminals Poti
Poti Sea Port Corp.
38, Davit Aghmashenebeli str
4401 Poti, Georgia
T +995 - 493 - 277777
F +995 - 493 - 220688
www.apmterminals.com